ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 22 (1423) 7-14 ივლისი 1995 წ.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის II ყრილობა გაიმართება 8—9 ივლისს, გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში.

რეგისტრაცია დაიწყება დილის 9 საათიდან.

"იმედის" არჩევნების ვადა იწურება. რუბიკონი გადაილახა, ახალი არჩევნები დანიშნულია

სახელმწიფოს მეთაურის მიერ 4 ივლისს დანიშნულ საგანგებო სესიაზე განსახილველად მხოლოდ ერთი საკითხი იყო გამოტანილი — საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ. სხდომას წინ უსწრებდა ე. შევარდნაძის კონსულტაცია საპარლამენტო პარტიებისა და ფრაქციების წარმომადგენლებთან, რის გამოც სხდომა ორი საათის დაგვიანებით დაიწყო. სესია ანშლაგით მიმდინარეობდა, რომ იტყვიან „პულტზე დებეტიც" იყო მოსული, ხოლო ჟურნალისტთა კორპუსი ისეთი მრავალრიცხოვანი იყო, რომ რესპუბლიკელ თამაზ დიასამიძეს ფრაქციის აღმნიშვნელი ფირნიშის მოხსნა მოუხდა, როდესაც გვერდით კოლეგების ნაცვლად „მოწვეული სტუმრები" იხილა. სახელმწიფოს მეთაურის მოსვლამდე მოწყენილი დეპუტატები როგორც შეეძლოთ ისე ირთობდნენ თავს. ზოგი საუბრობდა, ზოგი სიგარეტს აბოლებდა, ზოგიც სახელდახელო ინტერვიუს იძლეოდა. როდესაც მოლოდინი ძალიან გაჭიანურდა, დარბაზში ვახტანგ რჩეულიშვილი შემოვიდა და პარლამენტის წევრებს სხდომის დაგვიანების მიზეზი მოახსენა. სიცხით შეწუხებული და უკმაყოფილო დეპუტატების რისხვა ამჯერად ნამდვილად უსაფუძვლოდ დაატყდა თავს ვიცე-სპიკერს. სოციალიზმის გზით დემოკრატიისკენ მიმავალი ვ. რჩეულიშვილი არ დაიბნა, აღელვებულ დეპუტატებს შეპირდა, ეხლავე მოვახსენებ „ვისაც ჯერ არს" თქვენს აღშფოთებასო, დარბაზიდან გავიდა და შევარდნაძის შემოსვლამდე აღარ გამოჩენილა... ალბათ იქვე ფოიეში აბოლებდა სიგარეტს...

პროექტი აქილევსის ქუსლით, ანუ იყო თუ არა კომპრომისი?

საქართველოს პარლამენტს,რომელსაც თავისი უფლებამოსილება 1995 წლის ოთხ ნოემბერს უმთავრდება, შემდეგი არჩევნების თარიღის დანიშვნისათვის მხოლოდ ერთი დღე ჰქონდა დარჩენილი — 4 ივლისი („სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონის თანახმად). სხდომის თავმჯდომარის განცხადებით მთავარია ქვეყანა კონსტიტუციური გახდეს, მაგრამ დრო არ ითმენს და საჭიროა ჯერ არჩევნების თარიღი განისაზღვროს. აი უკვე მერამდენედ საქართველოს პარლამენტს კვლავ მძიმე ცაიტნოტში მოუხდა მუშაობა.

5 საათი და 12 წუთი დაგვრჩა პროექტის მისაღებად — გააფრთხილა კოლეგები ზურაბ ჟვანიამ და განსახილველად შესთავაზა დადგენილების პროექტი. მიუხედავად ჟვანიას განცხადებისა: „ჩვენ კომპრომისზე წავედით, ეს პროექტი გაწონასწორებულ ვარიანტს წარმოადგენსო", პროექტს თავისი აქილევსის ქუსლი აღმოაჩნდა მე-6 პუნქტის სახით, რომელიც პროექტის პირველი მუხლების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს შემდეგს: „რეფერენდუმზე გატანილ იქნეს კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებებს. რეფერენდუმი

გაგრძელება მე-2 გვ.

წინასაყრილობო ანკეტა

რა აზრისაა რიგითი მოქალაქე გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიაზე?

ალექსანდრე ცოფაია, 43 წლის,ინჟინერი:

— ძალიან კარგი აზრისა ვარ. ხანდახან ემოციები გადაძლევთ ხოლმე, მაგრამ მიმაჩნია, რომ მათი სტრატეგიული ხაზი სწორია. ვუსურვებ წარმატებებს და არჩევნებში გამარჯვებას.

ანდრო ხელაშვილი, 21 წლის, სტუდენტი:

აზრზე არა ვარ,პოლიტიკა არ მაინტერესებს.

დავით ჯიშკარიანი, 69 წლის, პენსიონერი:

კაი ბიჭები არიან. ნასწავლი ხალხი ჩანს. ხანდახან გაფიცხდებიან ხოლმე ზედმეტად, მაგრამ დროა ასეთი: ყველას დაწყვეტაზე გვაქვს ნერვები...

ვიოლეტა ჯღლაძე. 58 წლის, ექთანი:

ეგენი სუყველა პუტჩისტები არიან! ვითომ ოპოზიციაა. მაშინ სად იყვნენ, პრეზიდენტს პუშკები რომ დაუშინეს? ნათაძეც დაიმალა და სხვებიც... ის პაატაშვილია კიდევ, თუ თედოშვილი, მოღალატეა და იუდა!... იმ ბერძენიშვილ-დიასამიძეს კიდევ აბაშიძის ბოლმა მოკლავთ.

ბიძინა კობერიძე — პროგრამისტი, 36 წლის:

არა უშავთ. რესპუბლიკური პარტია თუ უკეთესი არა, სხვებზე უარესი ნამდვილად არ არის. ყოველ შემთხვევაში, მათთან შედარებით გაცილებით ინტელექტუალები ჩანან, პირადად მე ისევ მაგათ უნდა მივცე ხმა, უკეთესებს ვერ ვხედავ.

ბესარიონ ფოცხიშვილი, 63 წლის, ეკონომისტი:

რესპუბლიკური პარტია არ ვიცი მე! დაანებონ ჯობია მაიმუნობას თავი და თუ პატიოსანი ხალხია — ამოუდგნენ გვერდში შევარდნაძეს. ბატონ ედუარდს ასწავლიან მაგენი როგორ უნდა პოლიტიკის კეთება? არ მოიქცევიან ასე და ხალხიც აღარ აირჩევს. ამოვიდა ბატონო-ჩემო ყელში ამდენი პოლიტიკოსი. ყველას მეფობა უნდა. აგერ, გვყავს ერთი კაცი, მთელი მსოფლიო პატივს სცემს, თუ დავუჯერებთ — კარგად წავა ჩვენი საქმე. თუ არა და ისე ვიქნებით, როგორც ახლა ვართ...

ნინო სამხარაული, 29 წლის, ხელოვნებათმცოდნე:

მაინცდამაინც პოლიტიკურად ანგაჟირებული არა ვარ, მაგრამ რესპუბლიკელები ჩემში სიმპატიას იწვევენ. იმათ არ ჰგვანან, დღეს რომ ერთს ამბობენ, ხვალე სხვას და თან ასეთი უპრინციპობა დიდ სიბრძნედ მიაჩნიათ...

ნათელა გავაშელი, 72 წლის, დიასახლისი:

მე შვილო იმაზე ვფიქრობ, ხვალამდე სული როგორ მივატანო. მაგ პარტიებისა არაფერი ვიცი. არ მჯერა ვინმეს, ზევით, ხალხისთვის სასიკეთო უნდოდეს. ყველა თავის თავზე ფიქრობს. ისე, თუკი რაიმე კარგს გააკეთებენ, ხალხსაც გამოადგებიან და ქვეყანასაც — მაგას რა სჯობია.

მაია გედენიძე, 40 წლის იურისტი:

ქვეყანას გადაარჩენს კანონი, ერთადერთი ფრაქცია, ვინც პარლამენტში კანონს პატივს სცემს, რესპუბლიკელები არიან. პირადად მე მაგათი იმედი მაქვს, რომ ქვეყანას რაღაცას უშველიან.

პარტიული კოცნა

ჟვანიამ კირთაძის ამბორი დაიმსახურა

საქართველოს პარლამენტის არჩევნების და რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გამართულ დისპუტში დეპუტატები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. მაგალითად, ჯაბა იოსელიანისთვის დადგენილების პროექტი მთლიანად მიუღებელი იყო: ეს არის ტექნიკურად ჩაგდება არჩევნების თარიღისა, თუ ამ დადგენილებას დავამტკიცებთ, რაღად გვინდა კონსტიტუციის მიღება, მიგვიღია და ეგ არის, ეს არც კანონიერია, არც ნამუსიანი, ვიმოქმედოთ კანონიერების ფარგლებში და მერე დალაი ლამას ავირჩევთ თუ სხვა ვინმეს, ადგილზე გავერკვეითო — „გააიასნა" სიტუაცია ამ ბოლო დროს კანონიერების სადარაჯოზე ფხიზლად მდგომმა იოსელიანმა.

ქართლოს ღარიბაშვილმა არჩევნების თარიღად 1996 წლის 26 მაისი შესთავაზა კოლეგებს (მადლობა ღმერთს, სიკვდილამდე არ მოინდომა დეპუტატად ყოფნა...), რაზეც კვლავ წერეთელმა გაასავსავა ხელი, დავიიარსებით, მაგ რიცხვში არჩეული კაცი, კარგად მოგეხსენებათ, ერთ გზას რომ გაუყენესო...

რაც შეეხება ვიცე-სპიკერ რჩეულიშვილს, მან გამოთქვა აზრი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" კანონში შესწორება მიეღოთ და 4 თვიანი ვადა 3 თვემდე შემცირებულიყო, რადგანაც ამ ბოლო დროს რეფერენდუმის თაობაზე რესპუბლიკელთა პოზიციის გამზიარებელ სოციალისტს „ჟვანიას პროექტის" რამდენიმე მუხლი ნამდვილად ეხამუშება. თავად ზურაბ ჟვანიამ კი „ტოპკის" დარტყმის მშვენიერი მონაცემები გამოავლინა, როცა „რესპუბლიკელთა" ფრაქცია „ჟენტლმენური შეთანხმების" დარღვევაში დაადანაშაულა, რისთვისაც მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკური მდივნის ნესტან კირთაძის ამბორიც დაიმსახურა, რაც, ალბათ, „ჰკა მაგათო"-ს ნიშნავდა.

ასე თუ ისე, საქართველოს პარლამენტის დადგენილება მიღებულია და 1995 წლის 5 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები ჩატარდება.

პირველი გვერდიდან

ჩატარდეს 1995 წლის 20 აგვისტოს". რაც შეეხება კომპრომისებს ამაზე რესპუბლიკელებს საკუთარი, განსხვავებული აზრი აღმოაჩნდათ — კომპრომისი შეიძლება მხოლოდ კანონიერების ფარგლებში, არასრულყოფილი რეფერენდუმი პოლიტიკურად წამგებიანია (კანონი რეფერენდუმის შესახებ მოითხოვს,რომ რეფერენდუმი ჩატარდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იურიდიული ძალის არმქონეა). დღევანდელობიდან გამომდინარე საქართველოში რეფერენდუმი ვერ ჩატარდება, ჩვენ წამოვალთ კომპრომისებზე და შეგვიძლია ვისაუბროთ პრეზიდენტის ინსტიტუტზე, თუნდაც ძლიერზე, მაგრამ არა შეუზღუდავი ხელისუფლებით, როგორც კანონპროექტშია წარმოდგენილი, პარლამენტის ფუნქცია და როლი დემოკრატიის კამუფლაჟად არ უნდა იქცეს — თქვა ივლიანე ხაინდრავამ და სესიას რესპუბლიკელების ფრაქციის სახელით ახალი პროექტი შესთავაზა. ამ გამოსვლას ჟვანიას საოცარი აღშფოთება და კინაღამ სესიის ჩაშლა მოჰყვა: ნახევარი საათის წინ მე წავიკითხე ვახტანგ ხმალაძის ხელით დაწერილი პროექტი, რა ახალ პროექტზე შეიძლება ეხლა საუბარი? — განაცხადა ჟვანიამ. სხდომის დაძაბულობამ ზღვარს მიაღწია და ედუარდ შევარდნაძემ სასწრაფოდ შესვენება გამოაცხადა...

შესვენების შემდეგ სიტყვა ვახტანგ ხმალაძემ ითხოვა, რომელმაც შემდეგნაირად ახსნა რესპუბლიკელების ასეთი გამოსვლის მიზეზი: კომპრომისი არ იყო მიღწეული რეფერენდუმის საკითხში, ამიტომ გამოტანილი პროექტი მიუღებელი აღმოჩნდა ფრაქციისათვის. ვახტანგ ხმალაძემ აღნიშნა, რომ მათი ფრაქციის მთავარი მიზანი არჩევნების ჩატარებაა და გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის სურვილი.

შესვენების შემდეგ სესია, რომელიც კინაღამ კონფლიქტურად დამთავრდა, საოცრად დელიკატურად გაგრძელდა. ბატონებმა ედუარდ შევარდნაძემ და ვახტანგ ხმალაძემ ურთიერთპატივისცემა ისე დაადასტურეს,რომ ძალაუნებურად გაიფიქრებდი, არც ერთია უმრავლესობის წარმომადგენელი და არც მეორე უმცირესობის, ორივე ბედკრული. საქართველოს პარლამენტის წევრიაო...

სესიაზე მკვეთრად გამოიხატა ფონი. უმრავლესობას არა აქვს იმედი, რომ პარლამენტში ხმების ორ მესამედს მოაგროვებს კონსტიტუციის ან კანონის მისაღებად, რომელმაც უნდა განსაზღვროს საქართველოს პარლამენტის, რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის უფლებამოსილებანი, ამიტომ მას აუცილებლად სჭირდება რეფერენდუმი, თუნდაც უკანონო, რადგანაც დღეს რადიოსა და ტელევიზიის მონოპოლიზირების დროს ხალხის ნების მართვა ადვილად შესაძლებელია. რესპუბლიკელებისთვის კი აუცილებელია კონსტიტუციის მიღება და არჩევნების ჩატარება, რისთვისაც ისინი ბევრ დათმობაზე წავლენ, მაგრამ არა ყველანაირზე.

კენჭისყრის წინ რესპუბლიკელებმა შესვენება მოითხოვეს და შესთავაზეს დეპუტატებს ე.წ. ჟვანიას პროექტის სახეცვლილი ვარიანტი, რასაც არაფრით არ დათანხმდა „კომპრომისების მოყვარული მოქალაქე" ჟვანია და სესიამ 133 ხმით, ღამის 11 საათზე მიიღო დადგენილების პროექტი მცირეოდენი კოსმეტიკური კორექტივებით. რუბიკონი გადაილახა, არჩევნები დანიშნულია, ეს კი ცოტას სრულიადაც არ ნიშნავს.

ლელა ჯანჯალაშვილი

ამერიკელები ქართველი «უზრდელი» ოპოზიციონერების შესახებ.

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდნენ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტსაბჭოს წევრები ფრიდონ საყვარელიძე და ოთარ ზოიძე. უკვე ვიუწყებოდით, რომ ქართველ პარლამენტარებს ფრაქცია „რესპუბლიკელებიდან" შეხვედრები ჰქონდათ სხვადასხვა, გავლენიანი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებს ეტყობა უკვალოდ არ ჩაუვლია და ახლახან მივიღეთ მასაჩუზეტსის შტატის წარმომადგენელთა პალატიდან გამოგზავნილი სიგელები. აქვე გთავაზობთ ფრიდონ საყვარელიძისადმი გამოგზავნილი სიგელის ფოტოასლს და ტექსტის თარგმანს.

P.S. ზუსტად ასეთივე სიგელი გადაეცა ოთარ ზოიძესაც.

მასაჩუზეტსის შტატი წარმომადგენელთა პალატა

დაე, ამიერიდან ყველასათვის ცნობილი იყოს, რომ მასაჩუზეტსის წარმომადგენელთა პალატა გულწრფელად ულოცავს ბ-ნ ფრიდონ საყვარელიძეს აღიარებას მისი ღვაწლისა, რომელიც მიმართულია ჩვენს ხალხებს შორის უკეთესი ურთიერთგაგებისა და მეგობრობის დასამკვიდრებლად.

პალატის სრული შემადგენლობა მიესალმება მის წარმატებულ საქმიანობას ყველა წამოწყებაში და იმედოვნებს, რომ ეს საქმიანობა იქნება ხანგრძლივი.

გაცემულია 1995 წლის 2 ივნისს სახელმწიფო სახლში, ქ. ბოსტონი, მასაჩუსეტსი

ჩარლზ ფლაერტი
პალატის სპიკერი



The Commonwealth of Massachusetts

The House of Representatives

Be it hereby known to all that:
The Massachusetts House of Representatives
offers its sincerest congratulations to:

MR. FRIDON SAKVARELIDZE

in recognition of

YOUR EXEMPLARY EFFORTS TOWARDS BETTER FRIENDSHIP AND UNDERSTANDING BETWEEN OUR PEOPLE

The entire membership extends its very best wishes
and expresses the hope for future good fortune
and continued success in all endeavors.

Given this 2ND day of JUNE 1995
at the State House, Boston, Massachusetts

by: Charles Flaherty
Speaker of The House

Offered by: State Representative
PAUL C. CASEY

ამბავი კაცთა და თაგვთა

(შევარდნაძე იწყებს კონსულტაციებს ოპოზიციასთან)

ამოჩენილი ამერიკელი მწერლის ჯონ სტაინბეკის რომანის ეს სათაური თანამედროვე პოლიტიკურ რეალიებთან მიმართებაში შემთხვევით არ გაგვხსენებია. ყოველ შემთხვევაში „თაგვის" მეტაფორა, განსაკუთრებით ქართული ხალხური „თაგვმა თხარა, თხარასო" ასოციაციები აშკარაა და თვალშისაცემი.

ჯერ იყო და შევარდნაძემ ისე ოსტატურად იმუშავა ეროვნული მოძრაობიდან მოსული ოპოზიციის „ჩაძირვაზე" (პროპაგანდისტული მოტივაციით — „ქუჩიდან მოსულები ქუჩაშივე უნდა დაბრუნდნენ"), რომ ლამის მიაღწია კიდეც თავისას, ოღონდ, სამაგიეროდ მიიღო ჯაბა იოსელიანის, მამა-შვილი გიორგაძეებისა და სხვათა და სხვათა, მისთვის არცთუ მთლად სასურველ პიროვნებათა აღზევება. და რა იხილა განდიდებული გარემოცვა თავისი, და რა დარწმუნდა, შეიძლება მეც თამაშგარე მდგომარეობაში დავრჩე და სრულიად საქართველოცო, განიზრახა მათი შევიწროება, მაგრამ ბოდიში... „თბილი ადგილის" დათმობა თავისი ნებით არავის სურს. გარდა ამისა, ამ „ახალ ოპოზიციას" რესპუბლიკელთა თუ სხვა ოპოზიციური პარტიებისაგან განსხვავებით, ფიზიკური ძალაც შესწევს ქადილისა — არც ფული აკლიათ და არც გავლენიანი მფარველები „ამომავალი მზის" (ჩრდილოეთის) ქვეყნიდან.

სახელმწიფოს მეთაურმა (არ არის გამორიცხული მისდა გასაკვირად) აღმოაჩინა,რომ თავისი ექსგარემოცვის დასაძლევად მას ჭირდება ე.წ. პოლიტიკური ფონი, პროპაგანდისტული კამპანია, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ — ჭირდება ხმები პარლამენტში ამა თუ იმ დადგენილების გასატანად. მაგრამ როგორც კი შევარდნაძისა და მისი სამეფო ამალის რამოდენიმე „დიდვეზირებს" შორის ბზარი გაჩნდა, საპარლამენტო უმრავლესობის ბევრი წარმომადგენლები მართლაც თაგვებივით გაიქცნენ, მათი აზრით ჩასაძირად განწირული გემიდან. ამ დროს მარტო „მოქავშირი" საიმედო მოკავშირედ ვერ გამოდგება — ეს გაერთიანება საკმაოდ ჭრელია და შინაგანად წინააღმდეგობრივი. გასოციალისტებული რჩეულიშვილის ანტიკომუნისტური ფილიპიკები კი მისი ადრინდელი (არცთუ შორეული წარსულის) გამონათქვამების ფონზე, ცოტა არ იყოს — კომიკურად ჟღერს... რა გინდა რომ ჰქნა?

და მიხვდა ბ-ნი ედუარდი, რომ ბოლო-ბოლო „კატა გამოთხარა". მაგრამ ამ შემთხვევაში მან სხვებზე მეტი გონიერება გამოიჩინა. ზოგიერთებივით „ვირზე არ შემჯდარა" და თვითონვე წამოიწყო კონსულტაციები რამდენიმე ოპოზიციურ პარტიასთან. მომავალი გვიჩვენებს — ეს მარტოოდენ იძულებითი ნაბიჯია, თუ სახელმწიფოს მეთაურს უკვე გაცნობიერებული აქვს, რას უქადის მას (და არა მარტო მას) „მაღაროელი თაგვის სინდრომი".

ჯანო ქართველიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

ვის უნდა გადაეცეს მიწა კერძო საკუთრებაში? ანუ ქართული ჯარის შენების ერთ-ერთი საფუძველი

ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, ჩვენ გვსურს თუ არა გვსურს, ან მზად ვართ თუ არა ამისათვის, საქართველო მუდმივად იქნება საომარ ან წინასაომარ მდგომარეობაში. ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო ყაიდაზე უნდა იყოს მოწყობილი. ამ საქმეში კი ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მიწის რეფორმამ უნდა თქვას. დიახ ბატონებო, მიწა უნდა გადავიდეს კერძო საკუთრებაში, მაგრამ, როგორ და რანაირად, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

გავიხსენოთ როგორ ჩამოყალიბდა თავად-აზნაურთა, გნებავთ მსხვილ ფეოდალთა კლასი. ის, ვისაც სურდა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება ჰქონოდა ან, რაც იგივეა, ვისაც სურდა, რომ მამულების პატრონი ყოფილიყო, აუცილებლად იარაღს ილებდა ხელში და სამხედრო სამსახურში დგებოდა. როცა მეფე ვინმეს აზნაურობას ან თავადობას უბოძებდა, მისთვის აუცილებლად მამული უნდა ებოძებინა. აქედან გამომდინარე მიწის განკარგვის საკითხი ყოველთვის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების სამსახურში იდგა. სწორედ აქედან მომდინარეობს ის ჭეშმარიტი აზრიც,რომ ქართველი კაცი ოდითგან მიწათმოქმედი და მეომარი იყო. საქართველოში ეს ორი საქმე ყოველთვის ყველაზე პრესტიჟულად ითვლებოდა.

ჩვენ დღესაც სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვართ და აქედან გამომდინარე, ჩვენი სამხედრო მშენებლობის საქმეში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მიწის რეფორმამ უნდა თქვას.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით არის ლაპარაკი ათასნაირ დამცავ მექანიზმებზე, თვით ამ პროცესის რეგულირებაზე და ა.შ. ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ: მე მიმაჩნია, რომ საკითხი ასე უნდა დაისვას. მიწის პრივატიზაცია საქართველოს სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების სფეროშია და ჯარის შენების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლა უნდა იყოს. სამხედრო სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტისას ერთ-ერთი ძირითადი როლი სწორედ მიწის რეფორმამ უნდა ითამაშოს.

ახლა კი კონკრეტულად მოგახსენებთ, თუ როგორ და რა

გაგრძელება მე-4 გვ.

ფედერალიზმი, სამხარეო მოწყობა თუ სულაც შერეული ვარიანტი

კარს მომდგარი საქართველოს არჩევნების წინ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ქვეყნის მომავალი სახელმწიფო მოწყობის ციებ-ცხელებამ მოიცვა. საჯაროდ თუ სახელისუფლო კულისებში მიმდინარეობს სხვადასხვა ვარიანტების განსჯა-განხილვა იმის თაობაზე, რა ყაიდის ქვეყანა უნდა იყოს მომავალში საქართველო — საპარლამენტო რესპუბლიკა თუ საპრეზიდენტო, ფედერალიზმის საფუძველზე უნდა მოეწყოს ქვეყანა, თუ სამხარეო ან რეგიონალური მმართველობის პრინციპით. ამ მიმართებით ბოლო ხანს სულ უფრო გამოიკვეთა ხელისუფლების პოზიცია, რომელიც კატეგორიულად უჭერს მხარს ქვეყნის ფედერალიზმისა და სამხარეო პრინციპით მოწყობის რაღაც შერეულ ვარიანტს, რაც სულაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი კარგი დღით.

აქ აღარ შევჩერდებით ქვეყნად პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების ავ-კარგზე, რადგანაც ამის თაობაზე უკვე გვქონდა საუბარი (გაზეთი „საქართველო“, №17, 1995).

რას უნდა ველოდოთ ქვეყნის შერეული პრინციპით (ფედერალიზმი და სამხარეო მმართველობა) სახელმწიფო მოწყობისაგან? უპირველესად იმას, რომ ფედერაციის სუბიექტები იქნებიან საქართველო, აფხაზეთი, აჭარა და ცხინვალის რეგიონი (სინამდვილეში ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქთან შედარებით უფრო მეტი უფლებებით), ამის პარალელურად საქართველოს რესპუბლიკაში იქნება მხარეები, რომელთაც ამჟამად განაგებენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულები.

სინამდვილეში ეს არც ფედერალიზმი იქნება და არც სამხარეო მმართველობა, რადგანაც ფედერალიზმის პრინციპის ბოლომდე განხორციელებას წინ გადაეღობება სამხარეო მმართველობა. კერძოდ, ზოგიერთი მხარე თითქმის ყველა პარამეტრით აღმატებული იქნება ფედერაციის სუბიექტებზე (საქართველოს გამოკლებით) და ექნება ამის შესაბამისი პრეტენზიები. თავის მხრივ სამხარეო მმართველობას თავისებურად შეზღუდავენ ფედერაციის სუბიექტები, მათზე მინიჭებული გადამეტებული კონსტიტუციური უფლებებით.

ამ მცირეოდენი ანალიზის შემდეგ იბადება კითხვა — ვის და რაში სჭირდება ქვეყნის ამგვარი შერეული პრინციპით მოწყობა? წინასწარ ამ კითხვაზე პასუხი ძნელია, თუმცა როგორც საჯაროდ, ისე კულისებში სხვადასხვანაირად ცდილობენ ამ, უკვე შეიძლება ითქვას შერეული პრინციპით ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის გამართლებას.

ქვეყნის შერეული პრინციპით მოწყობისას, ცალკე აღებულ ფედერალიზმს რაც შეეხება, კარგად მოგეხსენებათ, რომ 2-3 წლის წინათ აფხაზეთის მხარე ითხოვდა სწორედ ამას, რაზედაც ჩვენ სრულიად სამართლიანად ვამბობდით უარს. ომში დამარცხების შემდეგ, ვითარება შეიცვალა და რუსეთის უშუალო ჩარევითა და ინიციატი-

გაგრძელება მე-4 გვ.

ავთანდილ ჯოხაძე

ორ ზღვას შუა თუ ორ ცეცხლს შუა მოქცეული საქართველო...

ალმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურული სხვადასხვაობა დღ პოლიტიკური მეტოქეობა შორეულ წარსულში იღებს დასაბამს. თანამედროვე ეპოქაში ინტენსიურმა სავაჭრო-სასაქონლო ურთიერთობამ თითქოს შეცვალა უწინდელი გამუდმებული საომარი შეტაკებანი და დაპირისპირებას ეკონომიკური ბრძოლის ხასიათი მიანიჭა, მაგრამ თუ მზერას დროის ხანმოკლე მონაკვეთებს არ მივავლებავთ, დავინახავთ, რომ ყველა სახის ურთიერთობა — მათ შორის საომარიც — ისევ განაგრძობს არსებობას და სულ უფრო საშიშ ხასიათსაც იძენს. საომარი შეჯახებების ეკონომიკურ ურთიერთობებად სუბლიმაცია მხოლოდ მოჩვენებითია. უფრო მართებული იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ რაც დრო გადის, ყველა სახის ურთიერთობათა ინტენსივობა მით უფრო იზრდება.

ალმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება, არსებითად, უწყვეტ ხასიათს ატარებს.

მაგნიტის დადებითი და უარყოფითი პოლუსების მსგავსად, რომლებიც ურთმანეთოდ არ არიან, არც დასავლეთი არსებობს ალმოსავლეთთან საერთო ველის გარეშე და არც ალმოსავლეთი — უდასავლეთოდ. ორივე მხარე განწირულია ერთმანეთთან ბრძოლისა და ერთმანეთით თვითდადგენისათვის. და როგორც მაგნიტის შუა წელზე გადის ჰოლუსებს შორის კულმინაციური დაძაბულობის და წონასწორობის ზოლი, ისე დედამიწის პოლიტიკურ რუკასაც ყოველთვის ატყვია ერთგვარი გამყოფი ღერძი, სადაც დასავლეთის და ალმოსავლეთის შეხლა ხდება. მართალია, ეს ღერძი მაგნიტის ზოლისაგან განსხვავებით უძრავი არ არის, მაგრამ ძირითადად მაინც ერთი და იგივე დიაპაზონის ფარგლებში გადაადგილდება. იგი მერიდიანულია (შვეულია) და განედური (თარაზული) მიმართულებით მოძრაობს: ბოსფორ-დარდანელის სრუტეებიდან ხან ბალკანეთისაკენ მიცოცავს, ხანაც საპირისპირო მიმართულებით ამიერკავკასია-პალესტინის ზოლამდე გადმოიწევს ხოლმე. აღსანიშნავია,რომ ამ ღერძის მოძრაობის მიმართულება თანმიმდევრულად მიდი — მოდის პრინციპით იცვლება და თუ რომელიმე ძალა ამ „მერიდიანული ღერძის“ ჩვენს მიერ მითითებული დიაპაზონის ფარგლებს გარეთ გადაწევას შეეცდება — რაც ისტორიული კანონზომიერების წინააღმდეგ „ავდანყებას“ და „საბედისწერო სამანის“ გადალახვას ნიშნავს — ის აუცილებლად შეიმუსრება. საშუალოროდ, წერილის საგაზეთო მოცულობა არ იძლევა ევრაზიის ისტორიული პერიპეტიების თუნდაც ზერელე მიმოხილვის საშუალებას ამ დებულების საილუსტრაციოდ. (უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ ალმანახი №1).

ბუნებრივია იბადება კითხვა: რას უქადის დასავლეთსა და ალმოსავლეთს შორის ძალთა ასეთი გამუდმებული მი-მო-ქცევა იმ ქვეყნებს და ხალხებს

გაგრძელება მე-8 გვ.

სასამართლოს სეტყვის არ სჯერა...

ეს ისტორია დაიწყო მას შემდეგ, რაც სიღნაღის რაიონის სათავეში დანიშნეს გაუქმებული კომპარტიის სიღნაღის რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი ვაჟა ცაბუტაშვილი. მან დაიწყო რა დროშების ფრიალით და მიტინგებით დანგრეული (როგორც თვითონ ხშირად აღნიშნავს და შშიერ მოსახლეობას უჩიჩინებს) რაიონის ასე ვთქვათ აშენება, თავისი საკადრო ვრცელი პოლიტიკის ერთ რგოლს, მაჩხაანსაც მოადგა. მონახა „ფიზიკურად და ეკონომიურად ძლიერი პატრონი“, საკმაოდ ცნობილი პიროვნება, წნორის კომერციული ბანკის „იბერიას“ მმართველი გ. ჯანყარაშვილი. იგი იმდენად ძლიერი იყო ბანკის წყალობით, რომ მარტო ერთი სოფლის კი არა, მთელი რაიონის „აშენებასაც“ შესძლებდა.

1994 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ვ. ცაბუტაშვილმა მოჰკიდა ხელი და, როგორც თვითონ აცხადებს, დიდი ხვეწნით მოიყვანა და წარუდგინა იგი ხალხს, როგორც მისი დანიშნული კოლმეურნეობის თავმჯდომარე (სხვათა შორის, ეს თანამდებობა არჩევითია), იმ დილას სოფელში არ აღმოჩნდა ადამიანი,რომელიც ტაშს დაუკრავდა ამ „დიდ მოვლენას“. ამ ფაქტმა დიდი შიშის ნიავი დაჰკრა ვ. ცაბუტაშვილის და გ. ჯანყარაშვილის სახეს.

სიტუაციიდან და მდგომარეობიდან გაძრომის ჩვეული გზა აირჩიეს ახალმა თავკაცებმა და შშიერ მოსახლეობას სოფლის საკრებულოსაკენ მიუთითეს, აგერ თქვენი ასეთი გაუბედურების მიზეზი სად არის, საკრებულოს გამგებელმა და საკრებულოს მდივანმა (ბ. თითილოკაშვილი და თ. პაპუაშვილი), დროშების ფრიალით რომ დაანგრიეს აწყობილი ქვეყანაო, სურვილი ნათელი იყო და მიზანიც. მოსახლეობის განწყობის შექმნაღა იყო საჭირო, რისთვისაც ყოფილი კომუნისტი ფუნქციონერები (ვინც სინამდვილეში დაანგრიეს რაიონიც და სოფლებიც) საღებავებს არ იშურებდნენ.

მოქმედებაც დაიწყო, ნამდვილად მათებურ „აღმშენებლობით“ საქმიანობაში ვერ გამოდგებოდა სოფლის „დამანგრეველი“ გამგებელი და მდივანი. ვ. ცაბუტაშვილმა ერთი თვის თავზე გაანთავისუფლა უკანონო ბრძანებით ბ. თითილოკაშვილი. რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ სწორად ჩათვალა უკანონო განთავისუფლება. ვიდრე სამართალი ბურს სჭამდა, შვიდი თვე გავიდა. (ჯერ გადაწყვეტილება გააუქმა უზენაესმა სასამართლომ, ხოლო შემდეგ რაიონის მოსამართლემ აღადგინა ბ. თითილოკაშვილი გამგებლად). ამ შვიდ თვეში კოლმეურნეობა ფირმა „სამებად“ მოინათლა. ფირმამ სახელშეკრულებო ურთიერთობები გააჩაღა წნორის კომერციულ ბანკთან, ერთი ფიზიკური პირი გივი ჯანყარაშვილი ორი ბატონის მსახური და ორი იურიდიული პირია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, სწორედ ხელშეკრულებებშია ჩადებული სოფლის ნამდვილი დაქცევა და კომერციული ბანკის ფინანსური გაძლიერება, რაც უკვე მყლავნდება და თანდათან უფრო ნათლად გამოჩნდება. როგორც ყურმოკვრით ვიცით (რადგან ფირმის დირექტორი გამგებელს და მდივანს ფინანსიურ მახინაციებში არ ახედებს), სოფლისა და ფირმის კომერციული ვალები ნახევარ მილიარდ რუსულ რუბლს ასცილდა.

სამუშაოზე აღდგენის შემდეგ ვ. ცაბუტაშვილმა რაიონის გაფართოებული თათბირიდან შეურაცხყოფილი გააგდო ბ. თითილოკაშვილი. სასამართლოს გადაწყვეტილებას მე არ ვცნობ, მე შენ გამგებლად არ მინდიხარ, თათბირზე არ დაგინახოო.

მართალია პროკურატურას და გამგებელს არ მოსწონდათ მათ საწინააღმდეგო სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ რადგან კანონიერი იყო, არ გაუსაჩივრებიათ. ძალა მათ ხელში იყო და ზედმეტი თავსატეხი რად უნდოდათ.

პროკურატურამ შეამოწმა სამი წლის წინანდელი მუშაობის მასალები, დაწერა უკანონო წარდგინება და გამგებელმა კვლავ უკანონოდ გაანთავისუფლა ახალი აღმშენებლობისათვის მიუღებელი სხვა გუნდის მოთარეშე ბ. თითილოკაშვილი. საწყის ეტაპზე კვლავ რ ეონის სასამართლომ (როგორც გამოირკვა ახალი მოსამართლე ჭუნიაშვილიც გამგებლის გუნდის მოთამაშე აღმოჩნდა) რის გამოც სწორედ მიიჩნევს უკანონო წარდგინებასაც და გამგებლის ბრძანებასაც. ბ. თითილოკაშვილს უარს ეუბნება სამუშაოზე აღდგენაზე.

კვლავ ძველი და იმედის მომცემი გზა — უზენაესი სასამართლო. აქ უკვე ვრცელი საჩივრის გარდა კვლავ დიდი იმედით მიუმართება თითილოკაშვილი.

რაიონის მეფე ვაჟა ცაბუტაშვილი ნერვიულობს, საჭიროა თბილისში პროცესის მოგება. მიუხედავად იმისა, რომ იგი სათანადო წესით გაფრთხილებული იყო, ჩაბარებული ჰქონდა საჩივრის ასლიც, მაინც განსაკუთრებული მომზადება დასჭირდა და უზენაეს სასამართლოს მისწერა, ადვოკატი მესაჭიროება და გთხოვთ საქმე გადაგვიდოთო, უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა თხოვნა და შვიდი დღით გადადო საქმე, მერე რა, რომ თბილისში ჩასვლა ჭირს, საჭიროა თანხები, ნერვები, დრო.

შვიდი დღის შემდეგ კვლავ ჩავიდა ბ. თითილოკაშვილი პროცესზე, ეს შვიდი დღე კიდევ მცირე აღმოჩნდა ვ. ცაბუტაშვილისთვის, ალბათ ფიქრობდა, სიარულით მაინც არ დაიღლებითო: სასამართლოს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელმაც პროცესზე შესვლაც კი არ ისურვა, ახალი უსტარი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ რაიონის გამგებელმა ვერ შესძლო ადვოკატის აყვანა, რადგან რაიონში მოვიდა სეტყვა და კვლავ ითხოვა გადადება, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, სეტყვამ რაიონს მართლაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა, მაგრამ იგი არასამუშაო საათებში მოვიდა. არასამუშაო საათებში ადვოკატის აყვანაც შეუძლებელია. სეტყვის მოსვლა ნამდვილად გულდასაწყვეტი, მოცემულ შემთხვევაში კი გულის ასაჩუყებლად ნამდვილად გამოსადეგი იყო, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ არ ჩათვალა პროცესის გადადების საფუძვლად ისეთი ფართო მასშტაბის მოვლენა, როგორიც სეტყვის მოსვლაა და გააუქმა ვ. ცაბუტაშვილის თანაგუნდელი მოსამართლის უკანონო გადაწყვეტილება.

ვნახოთ, რას მოიტანს დარჩენილი დრო. ვ. ცაბუტაშვილს დაქადნებული აქვს, ასჯერ რომ აღადგინოს სასამართლომ ბ. თითილოკაშვილი, ასჯერ გავათავისუფლებო.

სოფ. ქვემო მაჩხაანის (სიღნაღის რაიონი) საკრებულოს მდივანი
თამილა პაპუაშვილი

ვის უნდა გადაეცეს მიწა კერძო საკუთრებაში? ანუ ქართული ჯარის შენების ერთ-ერთი საფუძველი

მესამე გვერდიდან

გზებით უნდა განხორციელდეს ეს:

1. უნდა გამოცხადდეს მიწის ფონდი, რომელიც ექვემდებარება პრივატიზაციას.

2. მიწაზე საკუთრების უფლება უნდა აეკრძალოთ იმ მამრობითი სქესის მოქალაქეებს, რომლებსაც არ ექნებათ გავლილი სავალდებულო სამხედრო სამსახური ქართულ ეროვნულ არმიაში. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ ჯარში არ წავა, იგი მიწას ვერ მიიღებს კერძო საკუთრებაში, და ვერ მიიღებს მას ვერც მემკვიდრეობით. მემკვიდრეობით მას შეიძლება გადაეცეს მხოლოდ და მხოლოდ უვადო მიწადსარგებლობის უფლება, ე.ი. მას არ ექნება ამ მიწის არც გაყიდვის და არც გაჩუქების უფლება, ამასთან ერთად იგი მიწადსარგებლობისათვის გადასახადს გადაიხდის მანამდე, სანამ ან თვითონ ან მისი მემკვიდრე მიწაზე კერძო საკუთრების უფლებას არ მოიპოვებს.

3. მიწაზე საკუთრების უფლება იმ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს სამხედრო სამსახურის თვის გამოუსადეგარმა (იგულისხმება არაჯანმრთელი პიროვნება) მამრობითი სქესის მოქალაქემ, თუ მისმა მამამ, პაპამ ან შვილმა იმსახურა ეროვნულ არმიაში.

4. მიწაზე კერძო საკუთრების უფლება იმ შემთხვევაში შეიძლება მიიღოს მდედრობითი სქესის მოქალაქემ, თუ მისმა მამამ ან ქმარმა, ან შვილმა ამ სამთაგან ერთ-ერთმა მაინც გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური ეროვნულ არმიაში. თუ ასეთი არ არსებობს, მაშინ საკუთრების უფლებას ვერც ის მიიღებს. მასაც შეუძლია მიიღოს მხოლოდ და მხოლოდ უვადო მიწადსარგებლობის უფლება, რაც სათანადო გადასახადის გადახდასაც გულისხმობს.

5. იმ ვადიანი სამხედრო მოსამსახურეთა მემკვიდრეებზე, რომლებმაც არმიაში იმსახურეს ათი და მეტი წლის განმავლობაში, მიწის კერძო საკუთრებაზე უფლებათა შეზღუდვები არ უნდა გავრცელდეს.

6. მიწის ყიდვა კერძო საკუთრებაში შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მქონე პირისათვის. სხვა ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მიწადსარგებლობის უფლების ყიდვა-გაყიდვა, გარკვეული პირობებით და გარკვეული ვადით.

7. უნდა გამოცხადდეს, რომ საქართველოს ტერიტორიის 21 კილომეტრიანი ზოლი განკუთვნილია სამხედრო მიზნებისათვის და იგი უნდა გადაეცეს თავდაცვის სამინისტროს. ამ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო საკუთრებად, ხოლო გარკვეული ნაწილი გამოიყოს საპრივატიზაციოდ იმ ვადიან სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომლებიც სამხედრო სამსახურს შესაბამისად 10, 15 ან 20 წლიანი ხელშეკრულებით გაივლიან ზემოთ აღნიშნულ ზონაში. მათ მემკვიდრეებზე მიწის კერძო საკუთრებაზე უფლების შეზღუდვები, რომლებიც მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებითაა განსაზღვრული, არ უნდა გავრცელდეს.

ამ ზოლში შემავალი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სახნავ-სათესი მიწების დამუშავება და მოსავლის აღება უნდა განახორციელონ ალტერნატიულ სამხედრო სამსახურში გაწვეულმა სამხედრო ვალდებულებებმა. შემოსავლის დიდი ნაწილი უნდა დარჩეს თავდაცვის სამინისტროს, გარკვეული ნაწილი კი უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფოს ბიუჯეტში.

8. სახელმწიფო საკუთრებად უნდა გამოცხადდეს ტერიტორიები, სადაც განლაგებულია სამხედრო ბაზები ან სადაც მათი განლაგებაა ნავარაუდევი, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების ჩათვლით.

9. უნდა შეიქმნას საპრივატიზაციო სარეზერვო საუკეთესო მიწის ფონდი, რომელიც დროთა განმავლობაში კერძო საკუთრებაში გადაეცემათ ღვაწლმოსილ სამხედრო პირებს დამსახურებისდა მიხედვით, თადარიგში გასვლისთანავე ან მათ ოჯახებს დაღუპვის შემთხვევაში, აგრეთვე იმ სახელმწიფო-პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქვეყნის მშენებლობისა და განვითარების საქმეში. მათ მემკვიდრეებზე მიწის კერძო საკუთრებაზე უფლების შეზღუდვები არ უნდა გავრცელდეს.

10. სახნავ-სათესი მიწის გარკვეული ნაწილი უპირობოდ კერძო საკუთრებაში უნდა გადაეცეს ქართულ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას და უნდა მოხდეს ამ მიწების საეკლესიო საკუთრებად გამოცხადება.

და ბოლოს მინდა მოგახსენოთ, რომ მიწის საკითხი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების სფეროს წარმოადგენს. ამიტომ მხოლოდ იმაზე ლაპარაკი, რომ მიწა კერძო საკუთრებაში უნდა გადავიდეს და ლაპარაკი რაღაც დამცავი მექანიზმების შემოღებაზე სახელმწიფო სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების გაუთვალისწინებლად, ვიმეორებ, სახელმწიფო-სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების გაუთვალისწინებლად, მხოლოდ წინასაარჩევნო კომპანიისათვის, რაც ფაქტიურად ამომრჩეველზე მანიპულირებას გულისხმობს, დამღუპველ შედეგს გამოიღებს.

ნუ დაგვიწყდება, რომ ომები ძირითადად მიწების, ტერიტორიების გამო ხდებოდა; ნუ დაგვიწყდება, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომები სწორედ ტერიტორიების ხელახალი გადანაწილების გამო მოხდა.

დავით ხომასურიძე
პოლკოვნიკი

ფედერალიზმი, სამხარეო მოწყობა თუ სულაც შერეული ვარიანტი

მესამე გვერდიდან

ვით ახლა იქით ვეხვეწებით აფხაზებს, რათა დაგვთანხმდნენ ფედერალიზმზე. ახლა აფხაზთა მხარეა უარზე და უფრო მეტს — კონფედერაციას მოითხოვს. ჩვენ კი ამ დროს საჯაროდ ვაცხადებთ — ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად ფედერალიზმი ერთადერთი გამოსავალია (გეგონება ომში გამარჯვებულ აფხაზებს და მათზე არანაკლებად შეგულიანებულ ოსებს ყურთბალიშზე სძინავთ, რათა დაგვთანხმდნენ ამ, ჩვენივე საჯარო გაცხადებით ჩვენთვის სასარგებლო და მათთვის საზიანო ვარიანტზე).

ფედერალიზმის პრინციპით ქვეყნის მთლიანობა აღსდგება თუ არა, ამ გზით აფხაზეთს დავიბრუნებთ თუ არა, ეს კიდევ საკითხავია, მაგრამ კონსტიტუციით გაფორმებული და დაკანონებული ქვეყნის დაქუცმაცებულობა რომ სახეზე გვქნება, ეს უკვე ეჭვს გარეშეა.

რა გვაქვს მხედველობაში, როცა ამას ვამბობთ? პირველ რიგში ის, რომ დღეს საქართველოს იურისდიქცია საერთოდ არ ვრცელდება ფედერაციის მომავალ ორ სუბიექტზე. ეს ახლა, როცა მოქმედი კონსტიტუციით ცენტრალური ხელისუფლებას გადამწყვეტი მოქმედების უფლება აქვს ქვეყნად არსებულ ავტონომიურ წარმონაქმნებზე. არ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, რა იქნება იმ შემთხვევაში, როცა ფედერაციის სუბიექტებს კონსტიტუციით განუმტკიცდებათ ყოველგვარი დაუმორჩილებლობისა თუ სეპარატიზმის სურვილი. არც ისაა ძნელი წარმოსადგენი თუ რა პოზიციას დაიკავებს ფედერაციის სუბიექტების ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარის ნაწილები, როცა საქართველო შეეცდება განკერძოებისა და ურჩობის შემთხვევაში აქ წესრიგის დამყარებას. ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ შეიძლება ჩვენმა ხელისუფლებამ გაიტანოს და მიიღოს ფედერალური მმართველობის კანონი, მაგრამ აფხაზეთი მაინც არ დაეთანხმოს ამ ვარიანტს და ამ შემთხვევაში ყოველგვარი შედეგის გარეშე, ჩვენ ეს კანონი შეგვრჩეს ჩვენივე ხელებით საკუთარი თვალების ასახვევად.

მავანი ფედერალიზმის გამართლებას ასეთი გულუბრყვილო არგუმენტითაც ცდილობს: აჭარას და აფხაზეთს თანაბარ უფლებებს რომ მივანიჭებთ, ამით აფხაზები დარწმუნდებიან, რომ მათ რაიმე განსაკუთრებული უფლებები არ აქვთ და ამ გზით შევზღუდავთ (?!) მათო. პოლიტიკაში გულუბრყვილობა ამაზე შორს ვერც წავა!

მთავარი უბედურება კი ისაა, რომ თვით ეს იდეა, ფედერალიზმისა და სამხარეო მოწყობის ეს ნაზავი სხვისი ნაკარნახევია და სწორედ ამ სხვის იმედზეა დამყარებული ჩვენი ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტისას (არადა, ვინ არ იცის, საქართველოს რომ ეს პრობლემები უდგას, ამაში ლომის წილი უდევს სწორედ ამ სხვას — რუსეთს). სწორედ ამიტომაცაა, რომ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, პარლამენტარები უმრავლესობიდან, გადამწყვეტად მიიჩნევენ რუსეთის ფაქტორს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში. იმოწმებენ ფაქტებს, ჩეჩნეთის ამბებს და ა.შ. რამაც მათი აზრით რუსეთს თვალი აუხილა (?!) და მათი პოზიცია ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალაო. ამ ჩვენ პოლიტიკოსებს ისღა დარჩენიათ კონკრეტული რიცხვი დაგვისახელონ, თუ როდის მოგვართმევს რუსეთი ტაბლაზე დადებულ აფხაზეთს.

ამ ყაიდის პოლიტიკოსებმა თუ არ იციან, უნდა იცოდნენ: რუსეთის პოლიტიკა და მისი სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესები ისე ღრმა და ისე შორს გათვლაზეა აგებული, რომ მისი არსი არც რუსეთის სახელმწიფო „დუმის“ მიერ რომელიღაც ჩვენთვის არასახარბიელო გადაწყვეტილების მიუღებლობით, არც რომელიმე რუსი პოლიტიკოსის ჩვენდამი, თუნდაც აშკარა მხარდაჭერით და მითუმეტეს, მწერლებისა და ხელოვანთა ჩვენდამი გამჭღავნებული სიმპათიებით, ვერ გაიშიფრება. განა რეალური ვითარებაც ამას არ ადასტურებს; ჩვენი დათმობების მიუხედავად, ყველაფერი თავის ადგილზეა, აფხაზთა მხარე არავითარ კომპრომისზე არ მიდის და განა ძნელი გასაგებია ვისი და რისი იმედით?

რაც ვთქვით, ამის მაგალითები ყოველ ნაბიჯზეა, მაგრამ ჩვენ ხელისუფლებას, იმათ, ვის ხელშიცაა ქვეყნის მართვის სადავეები, ამის დანახვა არ უნდა. თუნდაც, სულ ახლახან, 1 ივლისს რუსეთის ტელევიზიით ქართველთა და აფხაზთა ცნობილი „შუამავლის“, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ბორის პასტუხოვის გამოსვლა გავიხსენოთ. ბ. პასტუხოვმა ამ გამოსვლაში ბულბულის ცრემლები დაღვარა — საქართველოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო — „არ ვიცი, როგორ გადაიტანენ ამ ზამთარსო“. ასე რომ ბ. პასტუხოვმა მშვიდად, წარბიც რომ არ შეხრია ისე, საქართველო, აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“, როგორც თანაბარუფლებიანი სახელმწიფო სუბიექტები ისე წარმოადგინა ერთმანეთის გვერდით. ესეც შენი ტერიტორიული მთლიანობის აღიარება!

ბ. პასტუხოვმა, ამავე გამოსვლაში უტიფრად განაცხადა, რომ მართალია აფხაზეთის ომში რუსეთის სამხედრო ძალები მონაწილეობდნენ, მაგრამ მაშინ ისინი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კონტროლიდან გასული იყვნენო. ჩემი ყურით რომ არ მომესმინა, სხვის ნათქვამით ვერაფრით დავიჯერებდი ამას. მერედა ამას ამბობს არა ჟურნალისტი, ან რიგითი მოქალაქე, არამედ რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელი. ასეთი მაგალითები გამონაკლისი რომ იყოს, რაღა გვეჭირს. ყველაფერი ამის შემდეგ, ჩვენს მმართველ ელიტას ნეტა მართლა სჯერა რუსეთის „კეთილშობილური“ მისიისა? ან იქნებ სულაც, მოლას ფლავისა არ იყოს, თვითონვე იჯერებენ საკუთარ ტყუილს, თავის მიერ წარმოდგენილ ილუზიის ტყვეობაში არიან.

„ბოროტი ენები“ არც თუ უსაფუძვლოდ იმასაც ამბობენ, რომ ქვეყნის მოწყობის შერეული პრინციპის — ამ სიმბიოზის ერთადერთი დანიშნულება ფაქტობრივი ხელისუფლების სიცოცხლის გახანგრძლივება, მავანთა საკუთარ სკამზე ყოფნის განმტკიცებაა და მეტი არაფერი (როგორც ჩანს, არჩევნების წინ მთავარია ამომრჩეველში განმტკიცდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ილუზორული აზრი). თუკი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს ჩანაფიქრი განხორციელდება, მაშინ ვიღაც-ვიღაცეები სკამებს განიმტკიცებენ და ამით ხელისუფლებაში ყოფნასაც გაიხანგრძლივებენ, მაგრამ როდემდე? ღირს კი ყველაფერი ეს ქვეყნის დაქუცმაცებად და დაშლად? მაგრამ, როცა პირადი ინტერესები ქვეყნისაზე მაღლა დგება, ამაში კი არაერთხელ დავრწმუნებულვართ, მაშინ ამ კითხვის დაყენება იმათ მიმართ, ვისაც ეს ეკუთვნით, უადგილოცაა.

მოკლედ, საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ეს შერეული ვარიანტი (ფედერალიზმი და სამხარეო მმართველობა), უფრო არსებული ხელისუფლების სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებად ჩანს, ვიდრე ქვეყნის გადარჩენისათვის კარგად მოფიქრებული და დასაბუთებული ერთადერთი საშუალება.

მიხეილ მახარაძე

სწავლა სინათლეა... ოღონდ ლიცენზირებული

(„მითხრეს, დავიჯერე, მომატყუეს“)

ალბათ გახსოვთ, ან არ გახსოვთ ერთი ძველი სიმღერის სტრიქონი: „ჩემი შვილი მემწვანილედ მინდოდა...“ მართალია დღევანდელი გადასახედიდან ამ სიმღერამ აქტუალობა შეიძინა, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ მშობლებს საკუთარი შვილები მაინც და მაინც უმაღლესი განათლებით სურთ რომ იხილონ. თანაც სასურველია რამე ისეთი, „ხახობი“. ჰოდა, სოკოებივით მომრავლებული კომერციული ინსტიტუტები, კოლეჯები, უნივერსიტეტები მზად არიან ისეთ სპეციალობებზე მიიღონ აბიტურიენტები და მათი დოლარები,რომელთა სწავლებაზეც ლიცენზია არა აქვთ, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, ძალზე არხეინად არღვევენ კანონს „გამიდის და ვტირის“ პრინციპით. როგორც ამბობენ, ქუთაისის უნივერსიტეტმა მოინდომა სამკურნალო ფაკულტეტის გახსნა. მართალია, ლიცენზია ვერ მიიღო, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, ჩვენ დავიწყოთ, ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ და ყოველგვარი ტექნიკური ბაზის გარეშეც მშვენივრად ვისწავლით „აქიმობასაც“, მერე რა ძალა ექნებათ, ადგებიან და დაგვამტკიცებენონ... გირჩევთ მშობლებს და აბიტურიენტებს ფრთხილად მოეკიდოთ სასწავლო დაწესებულების შერჩევას, რადგან შემდგომ არ განმეორდეს ის, რაც მეანაბრეებს დაემართათ. „Veni, Vidi, vici“ ქართული ვარიანტით „მითხრეს, დავიჯერე, მომატყუეს“.

ლ.ჯ.

წუთშესვენება

იუმორი

დღევანდელ ნომერში გთავაზობთ რამოდენიმე პუბლიკაციას ძველი სატირულ-იუმორისტული გამოცემებიდან. თუმცა, სიძველის მიუხედავად მათ, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ აქტუალობა.

მოსწრებული სიტყვა

იმპერატორი ნიკოლოზ I ძალიან უკმაყოფილოდ იყო კავკასიაზე და ამბობდა:კავკასია საზარალოა რუსეთისთვისაო. ამიტომ მან მიმართა სახელმწიფო სათათბიროს და წინადადება მისცა რაიმე სახსარი მოეპოვებინათ, რომ კავკასიას სარგებლობა მოეტანა რუსეთისთვის. იმპერატორი ცუდ გუნებაზე იყო და სათათბიროს ვერცერთი წევრი ვერა ბედავდა ხმის ამოღებას. ბოლოს ერთი ღრმად მოხუცებული და პატივცემული გენერალი წამოდგა ფეხზე და მოახსენა:

— დიდო ხელმწიფეე, ჩემის აზრით კარგი იქნება, კავკასია იჯარით მივცეთ უფრო გამოცდილ სახელმწიფოებს...ასი წლით, მაგალითად: 33 წლით გერმანიას — კულტურის შესატანად. ამდენივე ხნით ინგლისს — ვაჭრობის გასაშლელად და 33 წლით იტალიას — მუსიკისა და ხელოვნების გასავრცელებლად... მაშინ კავკასია შეიქმნება მეტად სასარგებლო მხარედ.

ეს აზრი ძლიერ მოეწონა მეფეს და უთხრა:

— კარგი, ძალიან კარგი ... შენ ამბობ, რომ მივცეთ 33 წლით გერმანიას, 33წლით ინგლისს და 33 წლით იტალიას... ეს სულ იზავს 99 წელს, შენ კი წეღან ასი წელი სთქვი. მაშ ვის მივცეთ იმ ბოლო ერთ წელიწადს?

— ბოლო წელიწადს, თქვენო უდიდებულესობავ, კავკასიაში დანიშნეთ მეფის ნაცვალი, რომელიც ერთ წელიწადში მოსპობს სუყველას, რაც 99 წელიწადში გაკეთდება, — თამამად უპასუხა გენერალმა.

ჟურნ. „ნიშადური“.
1908 წ. მარტი

საფრანგეთის მინისტრის ეგზამენი
(გაზეთებიდან)

— თქვენ მინისტრობა გსურთ?

— დიაღ, შემთხვევის წყალობით.

— რა არის მინისტრი?

— მსგავსი, რომელსაც ყველა სისულელეს ეკითხებიან.

— რა არის უპირველესი მოვალეობა მინისტრისა?

— რაც შეიძლება მეტ ხანს იყოს მინისტრად.

— რა არის სამინისტროს დეკლარაცია?

— ქაღალდი, რომლითაც გვსურს ყველანი მოვიმადლიეროთ.

— როგორ შეიძლება ეგა?

— გაუგებარი სიტყვების დაწერით.

— გვითხარით მაგალითი სამინისტროს დეკლარაციისა.

— ამ წუთას: საფრანგეთი... რესპუბლიკა... დაცვა წესიერებისა... რევოლუცია... მთავრობა, ღირსი ამ სახელისა... გადასახადთა უკეთესად განაწილება... რეფორმები... მეურნეობის დახმარება.

— რისთვისა ხარ მინისტრად?

— იმისათვის, რომ ჩემს ნათესავებს ორდენები დავურიგო.

— როდის გადადგებით სამსახურიდან?

— როცა დამითხოვენ.

— რა არის შოპოვებული ვითარება?

— რაც ხელში მიჭირავს.

— დაპირება?

— რასაც არ ასრულებ.

— კარგი, მიღებული ხართ მინისტრად.

„ჩვენი ხუმარა“
1913 წ. ოქტომბერი

სადგურზე

მოქალაქე: ფქვილი გახლავს, ბატონო, ქალაქში მიმაქვს საკუთარი მამულიდან.

სად. უფროსი: რამდენი ფუთია?

მოქალაქე: თხუთმეტი.

სად. უფროსი: მოწმობა გვიბოძეთ.

მოქალაქე: ინებეთ.

სად. უფროსი (კითხულობს): აქ ფქვილი არ სწერია... აქ ჭირნახული სწერია. არ შეიძლება, გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული. ფქვილი ხომ ჭირნახული არ არის...

მოქალაქე: მაშ რა არის, ბატონო! ფქვილი ჭირნახულია, მაშ რა არის. მაგრამ აი, ფქვილიც სწერია...

სად უფროსი: ფქვილიც სწერია, მაგრამ ეს დოკუმენტი არ ვარგა... ეს რა დოკუმენტია! ჩემთვის ისეთ დოკუმენტსა აქვს მნიშვნელობა, რომელზედაც ნოე ჟორდანია აწერს ხელს. ინებეთ და მოგვიტანეთ.

მოქალაქე: ახლა სად ვიშოვო, ბატონო, ნოე ჟორდანიას ხელმოწერილი ქაღალდი. წინეთ რომ მცოდნოდა... იქნებ მეშოვნა...

სპეკულანტი: (მოქალაქეს განზე გასწევს და ჩუმათ ეუბნება):თქვენ ჟორდანიას ხელმოწერილი დოკუმენტი გინდათ?

მოქალაქე: დიახ, ბატონო, დიახ!

სპეკულანტი: აი, ის დოკუმენტი, რომელიც თქვენ გჭირდებათ (იღებს ხუთასმანეთიანს). ამ ფულზე ჟორდანიას უწერია ხელი და სადგურის უფროსიც კმაყოფილი იქნება. თუ გინდათ ამ ხუთას მანეთს ექვსას მანეთად მოგყიდით.

„ეშმაკის მათრახი“
1919 წ. დეკემბერი

ფრაკი და კონსტიტუცია



4 ივლისს გამართულ საგანგებო სესიაზე ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე დაპირდა პარლამენტის წევრებს, რომ იგი დათმობაზე წავა და მისთვის სრულიად მისაღებია პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის უფლებამოსილებათა გადანაწილება „პროპორციული სისტემით Fifty–Fifty“. ეს კი თქვა სახელმწიფოს მეთაურმა, მაგრამ მერე ეტყობა იფიქრა, ნამეტანი ხომ არ მომდისო და იქვე „შეარბილა“: იმ შემთხვევაში, თუკი ჩემს კანდიდატურას წამოვაყენებ პრეზიდენტის პოსტზეო. თუმცა დღეს პრეზიდენტის კანდიდატად ყველას ედუარდ შევარდნაძე ეგულება და არა გვგონია მაინცდამაინც თვითონ „გაჯიუტდეს“, არ მინდა პრეზიდენტობაო.

ეს ნიუანსი არ გამოეპარა გამოცდილი ჟურნალისტის მახვილ თვალს და ვალერი კვარაცხელიამ მეტად საინტერესო აზრი გამოთქვა — კონსტიტუცია არც ფრაკია და არც ჰალსტუხი, ვინმეს რომ მოერგოს. კანონი პიროვნებას არ უნდა მიესადაგებოდეს,კონსტიტუცია კი ისე იწერება,რომ შევარდნაძეს მოერგოს. აქვე კვარაცხელიამ თვითონაც გაიხსენა შევარდნაძის მეტამორფოზა და ჩვენც დაგვარწმუნა, რომ ამისთანა მენტალიტეტის კაცი არადემოკრატიული კონსტიტუციის პირობებშიც დემოკრატიულად იმუშავებს. მაგრამ ვაი და არ აირჩიეს ბატონი ედუარდ შევარდნაძე, (ფუი ეშმაკს და არული კუდიანებს), მაშინ? ვის ხელში უნდა ჩავარდეს, რბილად რომ ვთქვათ, „არასასურველი კონსტიტუცია?“

კონსტიტუციის პროექტზე სამუშაო დრო მცირე, მაგრამ მაინც არის, იმედია კონსტიტუცია „სამეფო ფრაკის“ პრინციპით არ „შეიკერება“, ერთ მშვენიერ დღეს რომ არავინ წამოგვძახოს: ეგ თქვენი მეფე, უკაცრავად, პრეზიდენტი შიშველიაო.

გერმანელი პოლიტოლოგის რჩევები

ბუნდესტაგის პარლამენტის თანაშემწე, ექსპერტი, პოლიტოლოგი არნე გრინდი ქართველ ჟურნალისტებს შეხვდა. საუბარი ეხებოდა იმას, თუ რა როლი ეკისრებათ ჟურნალისტებს წინასაარჩევნო პროცესში და როგორ ხდება დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

ბატონმა არნე გრინდმა აღნიშნა, ჟურნალისტიკა ძალაუფლების ერთ-ერთი ფორმაა. სადაც არის ხელისუფლება, ყველგან არის ბრძოლა. ჩვენ, გერმანელებმა ავირჩიეთ ბრძოლის ცივილიზებული ფორმა, ეს არის არჩევნები. ჩვენ გერმანიაში გვაქვს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პრესა, სადაც მასალები შუქდება ყოველგვარი ილუზიის გარეშე.

გერმანიაში ჟურნალისტიკა პოლიტიკისაგან თავისუფალ სივრცეში ვითარდება. პარტიებში დიდი მოთხოვნილებაა ჟურნალისტებისადმი. პრესა და ტელევიზია არის დამოუკიდებელი, არ ემსახურება სახელმწიფოს ინტერესებს. სახელმწიფო ტელევიზია და გაზეთი ქვეყანაში არ არსებობს. 10 წელია არსებობს კერძო რადიო და ტელევიზია. ყველას აქვს საშუალება ღიად გამოთქვას თავისი აზრი.

საარჩევნო კომპანიის დროს აუცილებელია მასებისათვის პოლიტიკური ინფორმაციის მიწოდება და ეს პირველ რიგში აუცილებელია ეფექტურად ხდებოდეს. იმისათვის,რომ ამა თუ იმ პარტიის ინტერესები სწორად გაშუქდეს, აუცილებელია ფული. ჩვენთან გაზეთები საარჩევნო ბრძოლის დროს, სისტემატიურად აშუქებენ იმას, თუ რას სთავაზობს ესა თუ ის პარტია ხალხს.

ბატონმა პოლიტოლოგმა გარკვეული ინფორმაცია მოგვაწოდა გერმანული გაზეთების დაფინანსების შესახებ. პარტიები გაზეთებს არ აფინანსებენ. მათი გამოცემა კომერციულ საწყისებზე ხდება. მაგალითად, გაზეთი „თაგეს ცაიტუნგი“, სადაც პოლიტიკური მომენტები შუქდება. ამ გაზეთის რედაქტორი თვითონ არის მეწარმე.

შემდეგ კი ისაუბრა პარტიებისა და სახელმწიფოს ფინანსურ ურთიერთობებზე არჩევნების დროს. პარტია თავისი თავის რეკლამირებაზე იმდენს ხარჯავს, რისი შესაძლებლობაც აქვს. გარდა ამისა, სახელმწიფოსაგან ღებულობს სესხს, რომლის დაფარვა ხდება ასევე იმ კომპენსაციების ხარჯზე, რომელიც სახელმწიფოსგან მიიღება.

მან აღნიშნა, ჩვენი მიზანია, რაც ცოდნა და გამოცდილება დაგროვდა ევროპაში, მივცეთ ქართველ ჟურნალისტებს. აუცილებელია შევთანხმდეთ ტერმინოლოგიის საკითხებზე. ვიმედოვნებ, რომ „ფრიდრიხ ებერტის“ ფონდი, რომელიც ქართველი და გერმანელი ჟურნალისტების ურთიერთობებს აფინანსებს, ორივე ხალხისათვის გარკვეული წარმატებების მომტანი იქნება.

ნინო ზამთარაძე

ДЕМОГРАФИА

საქართველო დემოგრაფიულ სარკეში

სიკვდილიანობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

მოსახლეობის მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დემოგრაფიულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება. საქართველოში მოკვდაობა ტრადიციულად დაბალი იყო როგორც მეზობელი ქვეყნების, ისე ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით. გასულ საუკუნეში შობადობის დაბალი დონის მიუხედავად, მოკვდაობის მნიშვნელოვნად დაბალი დონე განაპირობებდა იმას, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლით საქართველო კი არ ჩამორჩებოდა, არამედ უსწრებდა კიდევაც მეზობელ ქვეყნებს: აზერბაიჯანს, სომხეთსა და რუსეთს. შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოება უფრო პროგრესული ტიპისა იყო და დემოგრაფიული განვითარებით საქართველო უსწრებდა აღნიშნულ ქვეყნებს.

XIX—XX საუკუნეებში მოკვდაობის დონე საქართველოში სისტემატიურად მცირდებოდა და ყველაზე დაბალ დონეს 1960-იან წლებში მიაღწია. შესაბამისად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელმა საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მის ყველაზე მაღალ დონეს, 72 წელს მიაღწია ორივე სქესისათვის. მოსახლეობის მოკვდაობის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა მოკვდაობა სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობებით, რომელზეც მოდიოდა გარდაცვლილი მოსახლეობის 45 %.

ამ პერიოდის შემდეგ მოკვდაობის დონის შემცირებაში და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაში არავითარი პროგრესი აღარ მომხდარა. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი უცვლელი დარჩა, მაშინ როდესაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებმა, სადაც სიცოცხლის იგივე ხანგრძლივობა იყო, რაც საქართველოში 1960 წელს, დღემდე 5-6 წლით „გაიხანგრძლივეს“ სიცოცხლე. საქართველოს მოსახლეობის მოკვდაობის ძირითად მიზეზს ახლაც სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები წარმოადგენს, მაგრამ მისი როლი 1960-იან წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1990-იანი წლებისთვის მასზე მოდის გარდაცვლილთა 65 პროცენტი.

მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლით საქართველო კი არ ჩამორჩებოდა. არამედ უსწრებდა კიდევაც მეზობელ ქვეყნებს: აზერბაიჯანს. სომხეთსა და რუსეთს.

თავისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით ერთ წლამდე ასაკის ჩვილთა მოკვდაობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი დონე საგრძნობლად რეაგირებს ცხოვრების პირობების ცვლილებაზე და ამ უკანასკნელის „დემოგრაფიულ ინდიკატორად“ ითვლება. მთელი მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩვილთა მოკვდაობის დონით საქართველო ევროპის ბევრ ქვეყანას უსწორდებოდა, ხოლო რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფებოდა. თუ ჩვილთა მოკვდაობას თვალს გავადევნებთ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ნათლად ჩანს მისი შემცირების ტენდენცია. მაგრამ ჩვილთა მოკვდაობაში განსაკუთრებით გამოირჩევა 1926-1940 წლები, როდესაც ჩვილთა მოკვდაობის დონე წლიურად 4,3%-ით მცირდებოდა. ასეთი შემცირება საქართველოში არც მანამდე, არც მის შემდეგ არ მომხდარა. თუ-

1992-1993 წლებში ჩვილთა მოკვდაობა 12.4 პრომილედან მკვეთრად, 18.3 პრომილემდე. ე.ი. 47.6 %-ით გაიზარდა.

მცა შემცირებული ტემპებით, მაგრამ ჩვილთა მოკვდაობა 1940 წლის შემდეგ მცირდება და 1960 წლისთვის ყოველ 1000 დაბადებულზე გაანგარიშებით 36,8 პრომილე შეადგინა (იწერება — 36,8‰), რაც ნიშნავს, რომ 1960 წლისთვის ერთი წლის ასაკს ყოველ 1000 დაბადებულიდან ვერ აღწევდა 36,8 ადამიანი. შემდგომში, ჩვილთა მოკვდაობის ყველაზე დაბალი დონე საქართველოს ისტორიაში დაფიქსირდა 1992 წელს — 12,4%, მაგრამ აღნიშნული მაჩვენებელი მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით საკმაოდ მაღალია, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1990 წლისათვის ჩვილთა მოკვდაობამ შეადგინა: აშშ-ში — 9,1; ავსტრიასა და ბელგიაში — 7,9; შვეიცარიაში — 7,1; შვედეთში — 5,6; იაპონიაში — 4,5, ბოლო წლებში ცხოვრების პირობების მკვეთრმა გაუარესებამ მოცემულ საკითხშიც შეიტანა ნეგატიური კორექტივი; 1992-1993 წლებში ჩვილთა მოკვდაობა 12,4 პრომილედან მკვეთრად, 18,3 პრომილემდე, ე.ი. 47,6 %-ით გაიზარდა.

ერთ-ერთ უმწვავეს სოციალურ-დემოგრაფიულ პრობლემას წარმოადგენს ქალებისა და კაცების მოკვდაობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაში არსებული განსხვავებები. 1959 წლის მოკვდაობის დონის პირობებში კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში შეადგენდა 68,8 წელს, ქალებისა — 74,9 წელს, ე.ი. ყოველ ქალს საშუალოდ ელოდა მამაკაცის გარეშე სიცოცხლის 6,1 წელი, 1990 წლისათვის კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობამ 68,4 წელი, ხოლო ქალებისამ 75,9 წელი შეადგინა. სხვაობამ, ე.ი. ქალების მარტოდ ცხოვრების ხანგრძლივობის შანსმა 7,5 წელს მიაღწია.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. საქმე ისაა, რომ თანამედროვე პირობებში ქალები საშუალოდ 3,5 წლით უფროს მამაკაცებზე თხოვდებიან. ეს გარემოება ზრდის ქალის უქმროდ (მარტოდ) ცხოვრების ხანგრძლივობის შანსს. თუ დავუშვებთ, რომ ყველა ქალი გათხოვდება, მაშინ მოკვდაობის თანამედროვე დონის და ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკის პირობებში ყოველ გათხოვილ ქალს საქართველოში

ყველა ერში თუ სახელმწიფოში ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე მოდის 105 დაბადებული ვაჟი.

საშუალოდ ელის მარტოობის 11 წელი, რომელთაგან 7,5 წელი მოდის ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის მეტობაზე, ხოლო 3,5 წელი ქორწინებაში შესვლის ასაკთა სხვაობაზე.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე დამოკიდებულია სხვადასხვა თაობების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა. რაც უფრო ხანგრძლივად ცხოვრობენ ერთად სხვადასხვა თაობები, მით მეტია თაობათა ურთიერთობების სოციალურ-ზნეობრივი და ეკონომიკური ეფექტი. აქ აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში უფროსი თაობის მიერ მომდევნო თაობეისადმი გაწეული მატერიალური თანადგომის საკითხი. ქართველი ეკონომისტების (ს. არჩვაძე)ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 1991 წელს საქართველოში შექმნილი საშინაო ქონებიდან 27,8% მოდიოდა ბებია-ბაბუებზე, 55% უფროს თაობაზე და მხოლოდ 5% უმცროს თაობაზე. ამასთან ერთად, უმცროს თაობას უფრო მეტი მიდრეკილება აქვს მოხმარებაზე, ვიდრე უფროს თაობას. ამავე გამოკვლევით საქართველოში უფროსი თაობის სამომხმარებლო მიდრეკილების კოეფიციენტი შეადგენდა 0,88, რაც იმას ნიშნავს,რომ უფროსი თაობა მოიხმარს 12%-ით ნაკლებს, ვიდრე აწარმოებს. უმცროსი თაობის სამომხმარებლო მიდრეკილების კოეფიციენტმა 9,6 შეადგინა, ე.ი. უმცროსი თაობა მოიხმარს თითქმის 10-ჯერ მეტ საშინაო ქონებას (დოვლათს), ვიდრე თვითონ აწარმოა.

ვინაიდან 1960 წლის შემდეგ საქართველოში სიცოცხლის ხანგრძლივობა არ შეცვლილა, თაობათა ერთად ცხოვრების ხანგრძლივობაც არ უნდა შეცვლილიყო. მაგრამ აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა. კერძოდ, მშობლებისა და შვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა გაიზარდა 46,05 წლიდან 46,86 წლამდე, ე.ი. 0,81 წლით; ბებია-ბაბუებისა და შვილიშვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა გაიზარდა 19,13 წლიდან 22,17 წლამდე, ე.ი. 3,04 წლით, ხოლო ბებია-ბაბუებისა და შვილთაშვილების ერთად ცხოვრება — 5,05 წლიდან 5,55 წლამდე, ე.ი. 2,32 წლით.

თაობათა თანაცხოვრების პერიოდის ზრდის მიზეზი გახლდათ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა, არამედ მშობლების „გაახალგაზრდავება“. კერძოდ, მშობლების საშუალო ასაკი ბავშვების დაბადებისას ორივე სქესისათვის 1959 წლის შემდეგ 32-დან 28 წლამდე შემცირდა, მათ შორის დედებისათვის 29-დან 25 წლამდე, მამებისათვის 34-დან 30 წლამდე.

იმის შედეგად, რომ ქალები უფრო ადრე ხდებიან დედები, ვიდრე კაცები მამები და ქალებს სიცოცხლის ხანგრძლივობაც მაღალი აქვთ, ისინი უფრო

ჩვენს მიერ საქართველოში შესწავლილ იქნა მოსახლეობის მოკვდაობის საკითხები ოჯახური მდგომარეობის მიხედვით და მივიღეთ შემდეგი შედეგები: 1) ქორწინებაში არასდროს მყოფი კაცების მოკვდაობა 2-ჯერ აღემატება ქორწინებაში მყოფი კაცების მოკვდაობას, მაშინ როდესაც გათხოვილ და გაუთხოვარი ქალების მოკვდაობის დონეებში სხვაობა უმნიშვნელოა; 2) ქვრივი მოსახლეობის მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ქორწინებაში მყოფი, ისე ქორწინებაში არასდროს მყოფი მოსახლეობის მოკვდაობას, რაც უფრო მკვეთრად შეიმჩნევა ისევ კაცებში.

დიდხანს ცხოვრობენ თავის შთამომავლებთან ერთად, ვიდრე კაცები. 1989 წლის მონაცემებით დედებისა და შვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა საქართველოში 11,5 წლით აღემატებოდა მამებისა და მათი შვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობას; ბებიებისა და მათი შვილიშვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა 12,4 წლით ჭარბობდა პაპებისა და მათი შვილიშვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობას; ბებიებისა და მათი შვილთაშვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა 6,9 წლით ჭარბობდა პაპებისა და შვილთაშვილების ერთად ცხოვრების ხანგრძლივობას.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა წარმოადენს ე.წ. სიცოცხლის ბიუჯეტს, რომელიც ნაწილდება სამად: 1) გარკვეულ ასაკამდე ადამიანი იმყოფება მშობლების კმაყოფაზე, 2) შრომობს, 3) იმყოფება პენსიაზე. 1989 წლის მონაცემებით საქართველოში აღმოჩნდა, რომ კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობის გამო კაცების პენსიაზე ყოფნის ხანგრძლივობა 14,3 წელს გრძელდება, ქალებისა კი — 29 წელს.

ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობის მეტობა კაცებთან შედარებით ეკონომიკურად ყველა განვითარებულ ქვეყანაშია შემჩნეული, თუმცა მეტ-ნაკლები ზომით, ასე,რომ საქართველო გამონაკლისი არაა. მაგალითად, 1990-იანი წლების დასაწყისის მონაცემებით აღნიშნულმა "მეტობამ შეადგინა: კანადაში — 6,7 წელი; კუბაში — 3,4 წელი; აშშ-ში — 6,8 წელი; ისრაელში — 3,6; ჰონკონგში — 5,8; იაპონიაში — 5,9; შვეიცაში — 5,8 და შვეიცარიაში — 6,8 წელი. ბევრ ქვეყანაში უფრო უარესი მდგომარეობაა.

რაშია საქმე? თუ დავეყრდნობით ცნობილ დემოგრაფს, პროფესორ ბ. ურლანისს, სიცოცხლის საშუალო ბიოლოგიური ხანგრძლივობა ორივე სქესისათვის 87 წელს შეადგენს; მათ შორის ქალების — 88 წელს, კაცების — 86 წელს. ე.ი. ქალებისა და კაცების საშუალო ბიოლოგიურ ხანგრძლივობას შორის სხვაობა 2 წელს შეადგენს,რომელიც ბუნების მიერ კომპენსირდება დაბადებულებში ბიჭების მეტობით, რადგან ყველა დროს, ყველა ერში თუ სახელმწიფოში ყოველ 100 დაბადებულ გოგონაზე მოდის 105 დაბადებული ვაჟი; ასე, რომ ბუნებამ იზრუნა: ერთზე მოდიოდეს ერთი.

ოჯახური ცხოვრების წესი დადებითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაზე. ოჯახის გარეშე ცხოვრების წესი – უარყოფითად.

რაც შეეხება ორ წელზე მეტ სხვაობას ქალებისა და კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობაში, ის მთლიანად მოდის ქალებისა და კაცების ცხოვრების წესს შორის არსებულ განსხვავებაზე, რამდენადაც ორივენი ერთსა და იგივე პირობებში ცხოვრობენ. რიგი გამოკვლევებით დადგენილია: ერთი და იგივე მავნე ჩვევა, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, თამბაქოს წევა, გაცილებით მეტად ამოკლებს კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას, ვიდრე ქალებისას. დღეისათვის საქართველოში ტრავმატიზმით სიკვდილიანობა კაცებში დაახლოებით ოთხჯერ აღემატება ქალების სიკვდილიანობას ანალოგიური მიზეზით. ხომ შეიძლება ამ განსხვავების შემცირება? შეიძლება და საკმაოდ ეფექტიანადაც. ო. გერზმავას გამოკვლევით, ტრავმატიზმის ლიკვიდაციით კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში გაიზრდებოდა 1,8 წლით, ქალებისა კი — 0,6 წლით, ხოლო გულსისხლძარღვთა დაავადებების მიზეზით მოკვდაობის ლიკვიდაცია კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობას გაზრდიდა 9 წლით, ხოლო ქალებისას — 7,4 წლით. ცხადია მოკვდაობის ამა თუ იმ მიზეზის სრული ლიკვიდაცია მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ მნიშვნელოვანი შემცირება — სრულიად რეალურია.

ჩვენს მიერ საქართველოში შესწავლილ იქნა მოსახლეობის მოკვდაობის საკითხები ოჯახური მდგომარეობის მიხედვით და მივიღეთ შემდეგი შედეგები: 1) ქორწინებაში არასდროს მყოფი კაცების მოკვდაობა 2-ჯერ აღემატება ქორწინებაში მყოფი კაცების მოკვდაობას, მაშინ როდესაც გათხოვილ და გაუთხოვარი ქალების მოკვდაობის დონეებში სხვაობა უმნიშვნელოა; 2) ქვრივი მოსახლეობის მოკვდაობის დონე მნიშვნელოვნად აღემატება როგორც ქორწინებაში მყოფი, ისე ქორწინებაში არასდროს მყოფი მოსახლეობის მოკვდაობას, რაც უფრო მკვეთრად შეიმჩნევა ისევ კაცებში; 3) მოკვდაობის დიფერენციაცია ოჯახური მდგომარეობის მიხედვით გაცილებით გამოკვეთილია კაცებში, ვიდრე ქალებში, უფრო მეტად— ქალაქად, ვიდრე სოფლად.

ფრანგმა დემოგრაფმა ლ. ბერტილონმა 1872 წელს პარიზში გამოქვეყნებულ ნაშრომში ნიდერლანდების, ბელგიის, საფრანგეთისა და პარიზის მოსახლეობისთვის მიიღო პრაქტიკულად იგივე შედეგები, რაც ჩვენ საქართველოში 1990-იანი წლებისთვის. ამ პერიოდის განმავლობაში, კერძოდ 1872-1990 —იან წლებში, ყველა ქვეყნის დემოგრაფებმა აღნიშნულ საკითხზე მიიღეს პრაქტიკულად ერთგვაროვანი შედეგები. მაგრამ ყველა ხაზგასმით აღნიშნავს (მამაკაცების გასაგონად! მ.ხ.): ოჯახური ცხოვრების წესი დადებითად მოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაზე, ოჯახის გარეშე ცხოვრების წესი-უარყოფითად; ამასთან კაცებისთვის მეტად უარყოფითად, ქალებისთვის — ნაკლებად უარყოფითად. ამის შემდეგ მამაკაცებს, რომლებსაც დრო აქვთ ოჯახურ უღელს შეებნენ, ვთხოვთ დაფიქრდნენ, რომ შეირთონ, ვითომ მართლა ინანებენ?

1) მოკვდაობის დონე ფიზიკური შრომით დასაქმებულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად აღემატება გონებრივი შრომით დასაქმებული მოსახლეობის მოკვდაობას.

მოკვდაობის დონის ანალიზმა საქართველოში საქმიანობის ხასიათის მიხედვით აჩვენა, რომ აქაც მრავალი პრობლემა გვქონია. კერძოდ: 1) მოკვდაობის დონე ფიზიკური შრომით დასაქმებულ მოსახლეობაში მნიშვნელოვნად აღემატება გონებრივი შრომით დასაქმებული მოსახლეობის მოკვდაობას; 2) დაფიქსირდა უპრეცედენტო ფაქტი: ფიზიკური შრომით დასაქმებული ქალების მოკვდაობა კაცების მოკვდაობას აღემატებოდა დაახლოებით 13-15%-ით; მაშინ, როდესაც ყველგან და ყოველთვის, როგორც წესი პირიქითაა. შესაბამისი ანალიზით დადგინდა, რომ მოკვდაობის დონე ასევე მაღალია ფიზიკური სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებულ მოსახლეობაში ფიზიკური არასასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებულებთან შედარებით. კიდევ დადგინდა, რომ ფიზიკური შრომით დასაქმებული ქალების მოკვდაობის მეტობა კაცებთან შედარებით გამოწვეულია 65 წელს გადაცილებული ფიზიკური სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმებული ქალების მაღალი მოკვდაობით ამ ასაკის კაცებთან შედარებით, რაც თავისთავად მეტყველებს ხნიერ ასაკში ქალების ფიზიკური და განსაკუთრებით ფიზიკური სასოფლო-სამეურნეო შრომით დასაქმების მავნებლობაზე.

საერთოდ კი აღნიშნული საკითხის რეზიუმირება შემდეგნაირად შეიძლება: არა გვაქვს მანამდე უფლება ვილაპარაკოთ სოციალურ სამართლიანობაზე, სანამდე არსებობს აღნიშნული არსებითი განსხვავებები მოკვდაობის დონეებში შრომის ხასიათის მიხედვით. ამ კუთხით სოციალური სამართლიანობის არსებობას დღევანდელ მსოფლიოში ბევრი ქვეყანა ვერ დაიქადნის.

განათლება მოსახლეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ მახასიათებელს წარმოადგენს და ცხოვრების ყველა მხარეზე ახდენს გავლენას, მათ შორის მოსახლეობის მოკვდაობაზეც. აღნიშნული საკითხის კვლევისას საქართველოში — კავშირი მოცემულ მოვლენებს შორის აღმოჩნდა. განათლების ყველაზე მაღალი დონე შეესაბამება მოკვდაობის ყველაზე დაბალ დონეს. ამასთან განათლების ფაქტორი უფრო მეტ გავლენას ახდენს მოკვდაობის დიფერენციაციაზე ქალებში, ვიდრე კაცებში; უფრო მეტად მოქმედებს სოფელში, ვიდრე ქალაქში, განათლების გავლენა გაცილებით ძლიერია 16-64 წლის, ვიდრე 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის მოკვდაობაზე.

როგორც ჩანს, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის შესწავლისა და მისი შემდგომი ზრდის გზაზე მრავალი პრობლემა არსებობს. აღნიშნული პრობლემები ორგანულადაა გადახლართული საზოგადოებისა და ზოგადად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებთან. ამიტომ საზოგადოების წინაშე მდგარი დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობის დაუმყარებლად.

მერაბ ხმალაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ორ ზღვას შუა თუ ორ ცეცხლს შუა მოქცეული საქართველო...

მესამე გვერდიდან

(მათ შორის საქართველოს), რომლებიც „მერიდიანული ღერძის“ გადაადგილების ზონაში, ან ზედ მერიდიანულ ღერძზე მდებარეობენ.

ამ ქვეყნების ბედს სახარბიელოს ნამდვილად ვერ უწოდებ კაცი. ორივე მხრიდან უზარმაზარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონტინენტალური წნეხის ქვეშ მოყოლილი ეს სახელმწიფოები ერთი მეორის მიყოლებით იმსხვრევიან. ალბათ არ შეეცდებით თუ ვიტყვით,რომ დედამიწის ზურგზე ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი რეგიონი, სადაც ამდენი სახელმწიფო წარმოქმნილა და განადგურებულა.

უძველეს ხეთას მაგალითად, ბოლო ბერძნების თუ ეტრუსკების წინაპრებმა, ე.წ. „ზღვის ხალხებმა“ მოუღეს. ამ ხალხებს პირობითად პროტოდასავლეთი შეიძლება კუწოდოთ,* *დასავლეთი და აღმოსავლეთი ჩვენს კონტექსტში, რა თქმა უნდა, მეტს ნიშნავს, ვიდრე გეოგრაფიულ მიმართებას. იხილი უპ. ყოველისა ღირებულებითი ორიენტაციის მანიშნებელი ცნებებია. დასავლეთი პოლიტიკურ თავისუფლებას ინდივიდუალიზმს და რაციონალიზმს გულისხმობს, აღმოსავლეთი — ტირანიას და მითოსურ, ჯადოსურ ცნობიერებას.* რადგან ისინი უფრო ადრე უნდა გამოხულიყვნენ მითოსის ტყეეობიდან ან ყოველ შემთხვევაში გულუბრყვილო მითოლოგიის საფეხურიდან ამაღლებული და რაციონალიზმისა და ინდივიდუალიზმისაკენ მიმავალ გზაზე დაწინაურებულნი უნდა ყოფილიყვნენ.

მაგრამ მოვუშვათ წინასტორიას. ჩვენი მოსაზრების დასტურად მარტო სომხეთის მაგალითიც იკმარებს. საარაკო ძალისხმევის მიუხედავად, რასაც ეს ხალხი თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ფორმირებისა და შენარჩუნებისათვის ბრძოლას აგერ უკვე ორი ათასი წელია ახმარს, სომხეთი, როგორც აბსოლუტურად სუვერენული პოლიტიკური ერთეული, პრაქტიკულად არ არსებულა. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს: კი მაგრამ — ბიზანტიელები? ისინი ხომ დიდ ხნის განმავლობაში ინარჩუნებდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას სწორედ „მერიდიანული ღერძის“ გადაადგილების ზონაში? იგივეს თქმა შეიძლება თურქების შესახებაც...

თუ ისტორიულ სინამდვილეს კარგად დავაკვირდებით, ბიზანტიელების და თურქების მაგალითიც მხოლოდ ჩვენი მოსაზრების წინააღმდეგ ახმარს წყალს და არა ჩვენი შესაძლო ოპონენტებისა.

ბიზანტია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის მოქცეული კი არ იყო, არამედ ამ დაპირისპირების ერთ-ერთი სუბიექტი. ბიზანტია ჯერ იგივე დასავლეთია (რომია), მაგრამ შემდეგ, გარკვეული შინაგანი მეტამორფოზების გზით, თანდათან აღმოსავლურდება. როცა დასავლეთ-აღმოსავლეთის ჭიდილმა იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებიდან მის შიგნით გადმოინაცვლა — რაც შუა საუკუნეების ბიზანტიური ქრისტიანობის დასავლურისაგან გაუცხოვებასა და აღმოსავლურ ქრისტიანობად ფორმირებაშიც გამოიხატა — ეს ქვეყანაც თანდათან მოექცა ზემოხსენებული დასავლურ-აღმოსავლური ორმაგი წნეხის ქვეშ: ჯვაროსნებიც (დასავლეთი) და თურქებიც (აღმოსავლეთი), ორივენი ბიზანტიის მეტოქენი გახდნენ. ამ სახელმწიფოს გადაგვარება ერთგვარ აღმოსავლურ დასავლეთად თუ დასავლურ აღმოსავლეთად, მისი შინაგანი გაორება (ორთავიანი არწივის სიმბოლოთიც რომ არის დადასტურებული) დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ბალანსირების პოლიტიკის გატარების პრაქტიკული შეუძლებლობა — გახდა სწორედ ბიზანტიის, როგორც სახელმწიფოს „შებრკოლების ლიდი“, რომელზეც იგი დაიმსხვრა.

იგივეს ადასტურებს თურქების ისტორიაც. რას განასახიერებდა ამ კონტექსტში ოტომანთა იმპერია — დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის წინამორბედი — რა თქმა უნდა, აღმოსავლეთს. რას განასახიერებს დღევანდელი თურქეთი? — რა თქმა უნდა, პოლიტიკურ დასავლეთს; ის ხულაც ევროგაერთიანების (თუმც ჯერჯერობით არასრულუფლებიანი) წევრი სახელმწიფოა. თურქეთის გადასავლეთება ერთბაშად არ მომხდარა. სწორედ გარდამავალ პერიოდში, როცა ის დასავლეთიც იყო და აღმოსავლეთიც, — ან სხვაგვარად — აღარც აღმოსავლეთი იყო და აღარც დასავლეთი — დესპოტური მმართველობის საფუძვლებიც მოერყა და დემოკრატიულიც ვერ განმტკიცებინა — მისი, როგორც სახელმწიფოს არსებობის საკითხი რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა. თურქებს რომ შინაგანი მეტამორფოზის, ანუ რეფორმატორული უნარი არ აღმოსჩენოდათ, მაშინ ანატოლიაში აღმოცენებული ახალი სახელმწიფო თუ სახელმწიფოები, უბრალოდ თურქული აღარ იქნებოდა* . *მით უმეტეს, რომ თურქები ანატოლიის ნახევარკუნძულზე ეთნიკურ უმცირესობას შეადგენდნენ.* თურქების გაერთიანება კი იმის დასტურია,რომ წინა აზიაში გადაიშალა ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი და სახელმწიფო ოსმალეთის ისტორიასაც წერტილი დაესვა. თურქეთი არ არის ოსმალეთი!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ უნდა დავასკვნათ: „მერიდიანული ღერძის“ მიმოქცევის ფარგლებში მცხოვრებმა ხალხმა კარგად უნდა გაიცნობიეროს ერთი პოსტულატი: რაც შეიძლება სრულფასოვანად განაკუთვნოს თავი (სახელმწიფო წყობით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეგნებით) ან აღმოსავლეთს, ან დასავლეთს, თუ ხურს შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა. შიდასახელმწიფოებრივი გაორება მას ორ მოკავშირეს კი არ შესძენს, არამედ უმოკავშიროდ დასტოვებს და მისი ქვეყანა ორივე მხრიდან გაიწეწება.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს,რომ ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი ფორმაციის ყოველი მკვეთრი ცვლილება სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე მაშრიკ-მაღრიბის მარადიული დუელის ერთგვარი გამოსატულებაა. როდესაც „საბედისწერო სამნებს“ შორის მოქცეული ქვეყანა გაორებულია, მის შიგნით იმავე ძალებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს, რა ძალებიც ამ ქვეყანას გარედანაც აწვებიან. ვერც ერთი სასწაულმოქმედი პოლიტიკოსი ვერ შეძლებს ამ ძალების შეკავებას და თავისი ქვეყნის საზღვრებს შიგნით არშემოშვებას, ანუ თავისი ქვეყნის შიგნით არსებულ ანალოგიურ ძალებისგან ამ ძალების იზოლაციას. აქ აუცილებლად ექნება ადგილი პოლიტიკურ რეზონანსს ორივე მხრიდან — რეზონანსი კი, მოგეხსენებათ, დამანგრეველი ძალაა. თუ ასეთი სახელმწიფო შეეცდება ითამაშოს დაპირისპირებულ ძალთა იქეთ-აქეთ გამტარის როლი (ანუ მელაკუდურ, ორმაგ დიპლომატიას მიმართავს, თვითონ კი შინაგანად გაორებული დარჩება), საპირისპირო ძალთა შეხვედრა პირველ რიგში სწორედ მის შიგნით მოხდება და თავის ტერიტორიას ის დიდ, კონტინენტალურ ძალთა შეჯახების მუდმივ თეატრად აქცევს. ვერავითარი ეთნოსი და ხალხი ამ დაწოლას ვერ გაუძლებს და თუ მხოლოდ სახელმწიფოებრიობა დაენგრა, ხოლო ეროვნული და ეთნიკური არსებობა შეინარჩუნა, კიდევ რაღაც შედეგისთვის მიუღწევია, თორემ გაქრობა და ისტორიიდან გასვლა მისი რეალური პერსპექტივაა. „მერიდიანულ ღერძზე“ ხანგრძლივი ჯდომაც კი უკვე ნიშანია ამ ქვეყნის შინაგანი გაორებისა — ორთავიანობის, ორხელისუფლებიანობის და მომავალი სამოქალაქო შეხლა-შემოხლებისა. როგორც კი შინაგან გაორებას ბოლო მოეღება და ერთ-ერთი ძალა გაიმარჯვებს, მაშინვე „მერიდიანული ღერძი“ ამ ქვეყნის ერთ-ერთ (ან დასავლეთ, ან აღმოსავლეთ) საზღვარს გარეთ გადაიწევს და მისი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც მკვეთრად გაუმჯობესდება.

აქედან კიდევ რამდენიმე პოსტულატი თვალსაჩინოდება: თუ რომელიმე ქვეყანა თავისი ისტორიული* ბედის გამო „მერიდიანული ღერძის“ მოძრაობის დიაპაზონშია მოქცეული, მისი პოლიტიკური მმართველობა მაქსიმალურად უნდა ეცადოს იაროს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გზით (ცხადია, ეს არც ერთ ქვეყანას არა სწყენს, მაგრამ ღერძის ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია) და საქმე არასოდეს არ მიეყვანოს ძველ და ახალ სოციალურ-ეკონომიკურ ძალებს შორის კრიტიკულ დაპირისპირებამდე (რასაც სამოქალაქო ომები და რევოლუციები მოსდევს), ხოლო თუ საქმე აქამდე მაინც მივიდა, მაშინ ყოველგვარი ყოყმანისა და „ბალანსირების“ გარეშე უნდა გააკეთოს არჩევანი ან „მარჯვნივ“ ან „მარცხნივ“, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ქვეყანა დამანგრეველ ინტერვენციას თავიდან ვერ აიცილებს. რომელიმე სხვა განპირა ქვეყანაში, ვთქვათ ბრიტანეთში, ინტერვენცია შეიძლება საერთოდ არ მოხდეს — საკმარისია მისი იზოლაციაც. შუაში მოქცეულთათვის კი (ე.ი. საქართველოსათვის) — პირიქით, რასაც ასე დაბეჯითებით გვიდასტურებს ჩვენი ისტორია.

კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს სსსგ „ინფორმატიკას“ თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.

მსმენელებს საწყისი ცოდნისა და მოთხოვნილების მიხედვით შეუძლიათ შეარჩიონ ცენტრში მოქმედი კურსებიდან მისთვის სასურველი.

სწავლების პერიოდში მსმენელთა განკარგულებაშია იბნ ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები, პროგრამული საშუალებები და მეთოდური ლიტერატურა.



კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის ჩიხი N 37 (კომპლექს „მზიურის“ ტერიტორიაზე)

გვესაჭიროება 25 წლამდე ასაკის მდივანი გოგონა, სასურველია ინგლისურის და რუსულის მცოდნე, კომპიუტერზე მუშაობის გამოცდილებით.

ტ. 95-25-50

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს

7 ივნისს ორი წელი შეხრულდა ჯ. მაისურაძის სახელობის გვარდიული საავერტმფრენო პოლკის შვეულმფრენის მეთაურის, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის მკვიდრის ზებურ სერდალის ძე ბოლქვაძის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში დაღუპვიდან.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პატრიოტის, ბრწყინვალე სპეციალისტის, უშიშარი მებრძოლის ხანმოკლე სიცოცხლე სამაგალითოა მომავალი თაობისათვის.

საქართველო და შთამომავლობა არ დაივიწყებს თავდადებულ ვაჟკაცებს.

გურამ დუმბაძე,
ავთანდილ ბერიძე

* * *

1994 წლის თებერვალში რეგისტრაციაში გატარდა ს. ახალშენის საკრებულოს და გულშემატკივარ პირთა მიერ დაფუძნებული ზებურ ბოლქვაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი.

ფონდის მიზანია ჯ. მაისურაძის სახელობის გვარდიული საავერტმფრენო პოლკის შვეულმფრენის მეთაურის, ხელვაჩაურის რაიონის, ს. ახალშენის მკვიდრის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში დაღუპულ ზებურ სერდალის ძე ბოლქვაძის სახელისა და გმირობის უკვდავყოფა; სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პატრიოტის, ბრწყინვალე სპეციალისტის, უშარი მებრძოლის ცხოვრებისა და თავგანწირვის მაგალითზე მომავალი თაობის აღზრდა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფონდს განზრახული აქვს ზებურ ბოლქვაძის ცხოვრების 24 წლიანი გზის აღწერა და წიგნად გამოშვება, სოფლის მუზეუმში კუთხის მოწყობა და ხეივნის გაშენება, სკოლებში ავიამოდელისტთა წრეების შექმნა და დაფინანსება, დაღუპული მფრინავის საფლავის კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა, ოჯახის სულიერი და მატერიალური თანადგომა, ხელვაჩაურის რაიონიდან და აჭარიდან სამშობლოსათვის დაღუპულ მებრძოლთა წარმოჩენა, მათ ოჯახებზე ზრუნვა და ანალოგიური აქციების მხარდაჭერა და სხვა.

მოგეხსენებათ, დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს ამგვარი წამოწყებების მატერიალური დახმარება უჭირს და ზებურ ბოლქვაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდით ქველმოქმედთა იმედზეა.

საქართველოს სახელმწიფოკომერციული შემნახველი ბანკის ხელვაჩაურის განყოფილებაში ანგარიშზე №600164783 (რაიონის გარედან) №600870283 (რაიონში) გახსნილია ზებურ ბოლქვაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდის ანგარიში №170. ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად სიამოვნებით მივიღებთ საქმიან წინადადებებს.

პატივისცემით
გურამ დუმბაძე
ზებურ ბოლქვაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სამძიმარს უცხადებს პარტიის წევრს გოგი დავითურს მამის
ზოთა გიორგის ძე დავითურის
გარდაცვალების გამო

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
დავით ბერძენიშვილი, რომან ბოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ებანოიძე (პასუხისმგებელი მდივანი), მიხეილ მახარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნოდარ ნათაძე, ზოთა ნადირაშვილი, თედო პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 68447

ფასი 1200 რუბლი, შ. კ. კუპონებში.

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99
93-18-41